პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 იანვარი ოთხშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 22 (14932)

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირი

თითქმის ოთხმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ". ამ საპროგრამო დოკუმენტმა უდიდესი როლი შეასრულა საბჭოების ცხოვრებაში: პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანათა შესრულებაში, სახელმწიფო საქმეთა მართვაში ხალხის ფართო მასების ჩაბმის საქმეში. ხომ სავსებით კანონზომიერია, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სისტემის ყველაზე მრავალრიცხოვანი და მასობრივი რგოლია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, აგრეთვე კანონმა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოების შესახებ განუსაზღვრელად აამაღლა ხელისუფლების ძირეული ორგანოების ავტორიტეტი. გაზრდილმა უფლებამოსილებამ, უფლებებმა და მოვალეობებმა მათ საშუალება მისცეს უფრო სრულყოფილად გადაეჭრათ სოფლის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საჭირბოროტო საკითხები.

„მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ" — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მსვლელობას, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოების შესახებ კანონის განხორციელებას მიეძღვნა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც გუშინ, 26 იანვარს გაიხსნა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების ათასამდე თავმჯდომარე — რესპუბლიკის ყველა რაიონის წარმომადგენლები, — რათა გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის გამოცდილება, ერთად დაესახათ თავიანთი მუშაობის გაუმჯობესების შემდგომი გზები. ხელისუფლების ძირეული ორგანოების წარმომადგენლები რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდნენ მოვლენებით აღსავსე დროს, როცა საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ყოველმხრივ ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას, რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

სხდომის დარბაზში იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, პარტიის საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების პირველი მდივნები, პასუხისმგებელი საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

თათბირის საქმიან პრეზიდიუმში არიან ვ. პ. მჭამანაძე, ბ. ს. კოზეკინი, ბ. დ. ჯაფარიშვილი, პ. ა. როდიონოვი, შ. ი. ჭანუყვაძე, მ. ა. ბოგიჩაიშვილი, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ს. კ. ბურკოტკინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ი. მ. სტარჩენკო, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მოწინავე აღმასკომების თავმჯდომარეები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

თათბირის მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღმავლობით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირი გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. ს. ძოწენიძემ.

ილაპარაკა რა თათბირის მიზნებსა და ამოცანებზე, ამხ. ძოწენიძემ მოხსენებისათვის სიტყვა მისცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ. დ. ჯაფარიშვილს.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ გორის რაიონის სოფელ ტყვიავის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კ. ზ. რაზმაძე, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. თ. ცერცვაძე, მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ი. შმწირული, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ვ. შინკუბა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ვ. ბ. ბოჭორიშვილი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. მ. დავითაძე, ადიგენის რაიონის აბასთუმნის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. ჩერქეზიშვილი, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ბ. ჯიოევი.

დილის პლენარული სხდომის შემდეგ მუშაობა დაიწყეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, საგეგმო-საბიუჯეტო-საფინანსო მუშაობის, სოფლის მეურნეობის, დამზადებისა და მიწათსარგებლობის, მრეწველობის, კავშირგაბმულობის, მშენებლობისა და კეთილმოწყობის, მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო განათლებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და ფიზიკური კულტურის სექციებმა.

საღამოს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში თათბირის მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი.

• • •

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომთა თავმჯდომარეების რესპუბლიკური თათბირი განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

„სკკპ ისტორიის" მეხუთე ტომის პირველი წიგნი

გამოვიდა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის" მეხუთე ტომის პირველი წიგნი. „ისტორიის" ექვს ტომად უშვებს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი.

ტომი შედგება ორი წიგნისაგან, რომლებიც ეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობას დიდი სამამულო ომის წინ და ამ ომის წლებში, სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებისა და განვითარების პერიოდში (1930-1958 წლები).

„სკკპ ისტორიის" მეხუთე ტომის პირველ წიგნში (1938-1945) გაშუქებულია, თუ როგორ დაიწყო საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური საზოგადოების განვითარების ახალი ეტაპი, როგორ იბრძოდა იმპერიალიზმის დამკვრელი ძალების წინააღმდეგ, როგორ დაიცვა სამშობლო...

წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან: „პარტიისა და ქვეყნის ცხოვრების ახალი ეტაპი" და „პარტია — საბჭოთა ხალხის ორგანიზატორი და გამარჯვებათა შთამაგონებელი დიდ სამამულო ომში". (საქდესი).

ოფიციალური ვიზიტით

25 იანვარს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი რუდოლფ პირხმაიერი. (საქდესი).

სოციალისტური ქვეყნების მწერალთა კავშირების ხელმძღვანელთა შეხვედრა

26 იანვარს მოსკოვში, სსრ კავშირის მწერალთა კავშირში, მუშაობა დაიწყო სოციალისტური ქვეყნების მწერალთა კავშირების ხელმძღვანელთა VIII შეხვედრამ. შეხვედრაში მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის მწერლები. (საქდესი).



■ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების რესპუბლიკური თათბირის სხდომათა დარბაზში.

ფოტო ი. დავითაშვილის და ს. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ქალაქ თბილისის მშრომელთა 1971 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

თბილისის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები სულ უფრო ფართოდ შლიან სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ახალი ხუთწლედის პირველი დღიდანვე რესპუბლიკის დედაქალაქის სამრეწველო კოლექტივებმა და ორგანიზაციებმა სწრაფი ტემპი აიღეს მუშაობაში, წარმოიშვა ახალი პატრიოტული თაოსნობანი.

ქალაქის სამრეწველო საწარმოებში გაძლიერდა ბრძოლა მუშების ნაკლები რაოდენობით წარმოების მოცულობის გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ზრდისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის.

მრეწველობის, ტრანსპორტისა და საქალაქო მეურნეობის ყველა საწარმოში, სამშენებლო ორგანიზაციაში, მეცნიერებს, კულტურის დაწესებულებაში, მოსახლეობის სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში განიხილეს და იკისრეს მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი. თბილისელმა მშრომელებმა დაიანგარიშეს თავიანთი რეზერვები და შესაძლებლობანი და 1971 წლისათვის შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს:

მრეწველობის დარგში. საწარმოებში დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის შემდგომი დანერგვისა და სრულყოფის, საწარმოთა კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, პროგრესული ტექნოლოგიისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის დაჩქარების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის, ახალი რეზერვების გამოძებნის გზით პროდუქციის რეალიზაციისა და ძირითად სახეობათა პროდუქციის გამოშვების გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულონ, წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 25 მილიონი მანეთის პროდუქცია და მიიღონ სულ ცოტა 6 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება. პროდუქციის გამოშვების ზრდა უზრუნველყონ ძირითადად შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით.

შრომის ნაყოფიერების გეგმა შეასრულონ სულ ცოტა 8 პროცენტის გადაჭარბებით. მხარს უჭერენ ჩშეკინოს ქიმიური კომბინატის კოლექტივის თაოსნობას, ფართოდ გაშალონ მუშაობა შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოვლენის, ნაკლები მუშახელით მეტი პროდუქციის გამოშვებისათვის.

პროდუქციის რეალიზაციის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულონ ვადამდე, სკკპ XXIV ყრილობის გახსნის დღისათვის და მარტის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 6 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხოლო მომდინარე წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან „ვლ-10" მაგისტრალური რვაღერძიანი ელმავალი, 28 ლითონსაჭრელი და სახეხი ჩარხი, 400 ტონა თუჯისა და ფოლადის სხმული, 28 ტონა პლასტმასის ნაწარმი, 230 ათასი მანეთის საიზოლაციო მასალები, ათასი გაზის ქურა, 3 ათასი ცალი მიკროძრავა, შესაფული მოწყობილობა და კვების მრეწველობის მოწყობილობა, 150 ათასი მანეთის ავეჯი, 28 ათასი კვადრატული მეტრი მოზაიკური და მოსაპირკეთებელი ფილა, 3 მილიონი ცალი სილიკატური აგური, 70 ათასი კვადრატული დეციმეტრი სალანჭე და საპირე ტყავი, 50 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 125 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოელი, 1,7 მილიონი მანეთის შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმი, 60 ტონა დაფასოებული ჩაი, 50 ათასი ბოთლი შამპანური, ათასი დეკალიტრი კონიაკი, 20 ათასი დეკალიტრი ღვინო. მნიშვნელოვნად გაადიდონ სახალხო მოხმარების საქონლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოება.

ითვისონ სულ ცოტა 600 ახალი, უფრო სრულყოფილი ტიპისა და მოდელის მანქანების, ხელსაწყოების, მასალების, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და გამოშვება. კერძოდ, ითვისონ ახალი სამრეწველო ელმავლის ეკ-18-ის სერიული წარმოება, მათ შორის ექსპორტისათვის — ორი სახეობის ელექტრონულ-გამოსათვლელი და სამართავი მანქანა, 5 სპეციალური მილდასამუშავებელი ჩარხის მოდელი, 9 სახეობის ღვინის წარმოების მოწყობილობა, ანალიზური ხელსაწყოები, 4 დასახელების ელექტროშესადუღებელი აპარატი, ათობით ახალი სახეობის პლასტმასის, მბაჟვრული კერამიკის ნაწარმი და სახალხო მოხმარების სხვა საგნები.

დადგან და საექსპლოატაციოდ გადასცენ სამრეწველო საწარმოებში სულ ცოტა ორმოცი ავტომატური, ნახევრადავტომატური, ნაკადურ-მექანიზებული და კონვეიერული ხაზი, 460 ერთეული ახალი მაღალმწარმოებლური მოწყობილობა, მოახდინონ 400-ზე მეტი ჩარხისა და აგრეგატის მოდერნიზება.

გაძლიერონ მუშაობა შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის, ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებათა ორგანიზაციული ტექნიკის დანერგვისათვის, სამრეწველო ესთეტიკის მიღწევებისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის მიღწევათა გამოყენებისათვის, საწარმოთა კოლექტივების სოციალური განვითარების საკითხთა კვლევისათვის.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები დაუცხრომლად იბრძოლებენ პროდუქციის ხარისხის, გარეგნული გაფორმებისა და შეფუთვის ყოველმხრივ გაუმჯობესებისათვის, მისი საიმედოობისა და ხანგამძლეობის ამაღლებისათვის, წუნით გამოწვეული დანაკარგების მაქსიმალური შემცირებისათვის, „პროდუქციის უდეფექტო დამზადებისა და პირველი წარდგენისთანავე ჩაბარების სისტემის ფართოდ დანერგვისათვის. ნაკეთობათა კონსტრუქციისა და წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის გზით 1971 წლის დამლევამდე 30 დასახელების სამრეწველო პროდუქციის ხარისხი აიყვანონ საუკეთესო საბჭოური და საზღვარგარეთული ნიმუშების დონემდე და მიიღწიონ იმას, რომ სულ ცოტა ათი სახეობის ნაწარმს მიენიჭოს ხარისხის ნიშანი.

ყოველნაირად გაძლიერონ ბრძოლა მომჭირნეობისა და, უიარაღთანობისათვის. შრომისა და მასალების დანახარჯების, აგრეთვე არამწარმოებლური დანაკარგების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით წარმოების ყველა რგოლში დაზოგონ სულ ცოტა 7 მილიონი მანეთი. დაზოგონ ათას ტონაზე მეტი შავი და ფერადი ლითონი, 10 მილიონ კილოვატ-საათზე მეტი ელექტროენერგია, 5 ათასი ტონა პირობითი სათბობი, აგრეთვე 80 ათასი მეტრი სხვადასხვა ქსოვილი, 15 ტონა საპლანტაჟე ნედლეული და სხვ. 30 მარტს, სკკპ XXIV ყრილობის გახსნის დღეს იმუშაონ დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით.

გაძლიერონ საშიფო დახმარება სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი. ვადამდე მიაწოდონ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს სხვადასხვა მოწყობილობა.

რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გზით მიიღონ 3 მილიონ მანეთზე მეტი პირობითი წლიური ეკონომია.

სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები უზრუნველყოფენ ტექნიკური და ეკონომიური პრობლემების დამუშავებას მაღალ მეცნიერულ დონეზე, დაჩქარებენ სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური ნაშრომებისა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის ვადებს, წარმოების ეფექტიანობას ასამაღლებლად დიდ ყურადღებას დაუთმობენ და უფრო ქმედით დახმარებას გაუწევენ საწარმოებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხების გადაწყვეტაში.

ტრანსპორტის დარგში. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილება ვადაზე, 25 დეკემბრისათვის შეასრულებს ტვირთბრუნვის წლიურ გეგმას და წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გაგზავნის 150 ათას ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს. შეამცირებს ვაგონების მოცდენასა და დაჩქარებს მათ ბრუნვას ნორმასთან შედარებით 0,2 საათით და ყოველდღიურად საშუალოდ გაათავისუფლებს სულ ცოტა 100 ვაგონს. შრომის ნაყოფიერებას გეგმასთან შედარებით გაადიდებს 0,1 პროცენტით და მიიღებს 50 ათას მანეთ ზეგეგმით მოგებას.

თბილისის მეტროპოლიტენი ვადამდე შეასრულებს მგზავრთა გადაყვანის წლიურ გეგმას და წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გადაიყვანს ორ მილიონ კაცს. პირველი კვარტლის გეგმას შეასრულებს სკკპ XXIV ყრილობის გახსნის დღისათვის. ამავე დღეს იმუშავებს დაზოგილი ელექტროენერგიით.

(დასასრული მე-2 გვ.).

ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა მეგობრული ვიზიტი

1971 წლის 25 იანვარს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი** შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **გ. ჰუსაკს**, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს **ლ. შტროუგალს**, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს **ვ. ბილიაკს**.

შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობისა და ძმური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე.

მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს, თუ როგორ მიმდინარეობს სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობა მათს ქვეყნებში. საბჭოთა ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს ხუთწლიანი გეგმის შესრულების წინასწარი შედეგებისა და ახალ ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადებას, ამასთან დაკავშირებით გაჩაღებულ შრომელთა მოძრაობას, რომ მაღალი შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ ყრილობას.

თავის მხრივ ჩეხოსლოვაკიელმა ამხანაგებმა ილაპარაკეს, რომ წარმატებით ხორციელდება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხაზი, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში ვითარების შემდგომ პოლიტიკურ და ეკონომიურ კონსოლიდაციას. მათ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ მიღებული დოკუმენტები, კერძოდ, „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიასა და საზოგადოებაში კრიზისული განვითარების გაკვეთილები ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIII ყრილობის შემდეგ" ფართოდ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს კომუნისტებმა, მშრომელმა მასებმა. ჩეხოსლოვაკიელმა ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ გაიზარდა შრომითი ენთუზიაზმი, გაიზარდა შეჯიბრება ქვეყნის საწარმოებში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად, რომელიც 1971 წლის მაისში გაიმართება.

შეეხნენ რა წარმატებებს, რომლებიც ჩეხოსლოვაკიამ და საბჭოთა კავშირმა მოიპოვეს ეკონომიური თანამშრომლობის სხვადასხვა დარგში, მხარეებმა ხაზი გაუსვეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს წარმოების კოოპერირებისა და სპეციალიზაციის შემდგომ გაღრმავებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების უფრო ეფექტიანი დანერგვის ინტერესებისათვის.

საერთაშორისო პრობლემების განხილვის დროს კვლავ აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის ხელშეკრულებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირმა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ დადეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. მხარეებმა დაადასტურეს, რომ იმთავითვე ბათილად ცნობენ მიუნხენის შეთანხმებას აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელი მოღვაწეების შეხვედრამ, რომელმაც მეგობრობის, გულთადობისა და ძმური ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, ცხადყო, რომ ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის შეხედულებანი და პოზიციები სავსებით ერთნაირია ყველა განხილულ საკითხში.

• • •

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 25 იანვარს კრემლის დიდ სასახლეში გამართა საღამო მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოსულ ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა პატივსაცემად.

• • •

იმავე დღეს ამხანაგები **გ. ჰუსაკი, ლ. შტროუგალი** და **ვ. ბილიაკი** საშობლოში გაემგზავრნენ.



ქალაქ თბილისის მშრომელთა 1971 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

(დასასრული).

საავიაციო მგზავრთბრუნვის გეგმა შესრულდება 28 დეკემბრისათვის. გეგმის გადაჭარბებით სამოქალაქო ავიაცია გადაიყვანს ათი ათას მგზავრს, შრომის ნაყოფიერებას გეგმასთან შედარებით გაადიდებს 2 პროცენტით, მიიღებს 300 ათას მანეთ ზეგეგმით მოგებას.

სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტი ტვირთბიდგის წლიურ გეგმას შეასრულებს 28 დეკემბრისათვის, გეგმის გადაჭარბებით გადაიტანს 100 ათას ტონა ტვირთს და მიიღებს 30 ათას მანეთ ზეგეგმით მოგებას.

საქალაქო ელექტროტრანსპორტი ვადამდე შეასრულებს წლიურ გეგმას და გეგმის გადაჭარბებით გადაიყვანს 500 ათას მგზავრს.

მშენებლობის და საქალაქო მეურნეობის დარგში. პირველი კვარტალის სამშენებლო-სამონტაჟო, სარემონტო-სამშენებლო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმებს შესრულებენ სკკპ XXIV ყრილობის გახსნის დღისათვის, ხოლო წლიურ გეგმებს — 25 დეკემბრისათვის. პირველ კვარტალში ააშენებენ და საექსპლოატაციოდ გადასცემენ 100 ათას კვადრატულ მეტრს, ხოლო წლის დამლევამდე — 550 ათას კვადრატულ მეტრ სასარგებლო საცხოვრებელ ფართობს. ვადამდე საექსპლოატაციოდ გადასცემენ 6.770 სასწავლო ადგილიან სკოლას და საბავშვო ბაღებსა და ბაგებს 980 ბავშვისათვის. საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის დღესასწაულისათვის დამთავრდება საჭადრაკო-ალპინისტთა კლუბისა და აეროპორტის ახალი შენობის მშენებლობა, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისა და ლენინის სახელობის მოედნის რეკონსტრუქცია. ვადამდე გადასცემენ საექსპლოატაციოდ მეტროპოლიტენის მესამე უბანს სადგურ „300 არაგველიდან“ სადგურ „ნავთლუღამდე“. 1971 წელს 1970 წელთან შედარებით სულ ცოტა 15 პროცენტით გაადიდებენ რეკონსტრუქციის კონსტრუქციების გამოშვებას.

ქალაქის სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები 0,5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულებენ შრომის ნაყოფიერების გეგმას. მკვეთრად გააუმჯობესებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხს და აშენებულ ობიექტებს საექსპლოატაციოდ გადასცემენ ძირითადად შეფასებით „ჩინებული“ და „კარგი“.

წამში 550 ლიტრით გაადიდებენ ქალაქისათვის სასმელი წყლის მიწოდებას, ვადამდე, 5 დეკემბრისათვის აშენებენ და შეაკეთებენ 15 საბრანსპორმატორო ქვესადგურსა და სამცენტრალურ გამანაწილებელ პუნქტს, გაიყვანენ 50 კილომეტრ მიწისქვეშა და საჰაერო ელექტროქსელს, დადგამენ გარეგანათების 1.000 ახალ წერტილს, თანამედროვე ლამპიონებით შეიცვლება 1500 სანათე.

გადაჭარბებით შეასრულონ ობოენერგიის წარმოებისა და რეალიზაციის, შენობათა თბომომარაგებისა და ცხელი წყლით მომარაგების გეგმები. ბუნებრივი გაზით ბინების გაზიფიკაციის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულონ სკკპ XXIV ყრილობის გახსნის დღისათვის, ხოლო წლიური გეგმა — 20 დეკემბრისათვის. გაზის სათბობზე გეგმის გადამეტებით გაიყვანონ 15 გასათბობი საქვაბე და ექვსი სამეფწველო საწარმო. გეგმის გადამეტებით გაიყვანონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ სამი კილომეტრი ქუჩის გაზსადენის ქსელი.

წლის მანძილზე გეგმის გადამეტებით დარგან 60 ათასი ხე და ბუჩქი, გააშენონ 15 ახალი სკვერი და დეკორატიული კუთხე.

მკვეთრად გააუმჯობესონ ქალაქის სატელეფონო ქსელის მუშაობის ხარისხი. 1970 წელთან შედარებით 20 პროცენტით შეამცირონ დაზიანებათა რიცხვი და მათი გამოსწორების დრო. პირველ კვარტალში საექსპლოატაციოდ გადასცენ ვარკეთილის მასივში 8 ათას ნომრიანი ახალი ავტომატური სატელეფონო სადგური — 73.

პირველ კვარტალში გახსნან კაფშირგაბმულობის სამი ახალი განყოფილება.

მოსახლეობის კულტურული, სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში. გააძლიერონ კულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამჯანსაღებელი მუშაობა, გაუმჯობესონ კულტურის და დასვენების სახლებისა და პარკების, კლუბების, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების, ბიბლიოთეკების, სანახაობითი და სპორტული დაწესებულებების საქმიანობა. უფრო ფართოდ გამალონ სოციალისტური შეჯიბრება სკოლების შენობათა მოვლა-სათვის, მათი ტერიტორიების კეთილმოწყობისათვის, მაქსიმალურად გამოიყენონ საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეფო დახმარება.

სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების გზით შეამცირონ მოსახლეობის, განსაკუთრებით ბავშვთა შორის დაავადება. მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ მოსახლეობის სტაციონარული და კლინიკური მომსახურება. უფრო ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში მკურნალობის ახალი პროგრესული ფორმები.

1971 წლის საქონელბრუნვის გეგმა შეასრულონ 28 დეკემბრისათვის, წლის დამლევამდე 6.770 ათასი მანეთის გადაჭარბებით შეასრულონ საქონელბრუნვის გეგმა, მიიღონ სულ ცოტა 400 ათასი მანეთი ზეგეგმური მოგება, ვადამდე გახსნან 160 სამუშაო ადგილიანი დაჭრობის ობიექტები და 350 ადგილიანი საზოგადოებრივი კვების სამი საწარმო, მიაწყონ 20 სპეციალიზებული მაღაზია. 80 მაღაზიასა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში დანერგონ მაჭრობისა და მომსახურების პროგრესული ფორმები და მეთოდები. მნიშვნელოვნად გაადიდონ მომსახურების სფეროში ქალის შრომის ხვედრითი წონა.

მაისში საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით მრეწველობის, ტრანსპორტისა და საქალაქო მეურნეობის, თბილისის მოსახლეობის მომსახურების სფეროების მუშაკები ვალდებულებას ვისრულებენ ხუთი თვის სახელმწიფო დავალება შეასრულონ ვადამდე, 29 მაისისათვის.

საქართველოს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები კიდევ უფრო აამაღლებენ ორგანიზატორული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონეს, დღენიადაგ სრულყოფენ თავიანთი საქმიანობის სტილსა და მეთოდებს და უზრუნველყოფენ სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელ განხორციელებას.

თბილისის მშრომელთა 1971 წლის სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ განაგრძონ ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ბაქოს, რიგისა და ერევნის მშრომელებთან. (საქდესი).

ჩეხოსლოვაკიელ მშრომელთა სიტყვა

პრაღა, 26 იანვარი. (საკდესი). მთელ ჩეხოსლოვაკიაში დიდი აქტივობით განიხილავენ დოკუმენტს „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და საზოგადოებაში კრიზისული განვითარების გაკვეთილები ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მე-13 ყრილობის შემდეგ“. სამრეწველო საწარმოებში და ახალმშენებლობებზე, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებსა და სახელმწიფო მეურნეობებში ჩეხოსლოვაკიელი მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს.

„გაკვეთილები...“ გახდა რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობის, თვითეული მისი მოქალაქის საკუთრება, ნათქვამია მოწონებულ სტატიაში „წინ, სოციალიზმის შემდგომი მშენებლობისათვის“!, რომელიც დაბეჭდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩეხიის ოლქების პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის ბიუროს ყოველკვირეულმა „ტრიბუნამ“. ამ დოკუმენტის გამოქვეყნება და საყოველთაო-სახალხო განხილვა მოწმობს, რომ პარტიას სურს მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები გამოიტანოს მომხდარი მოვლენებიდან, რათა მტკიცედ წავიდეს წინ, სწორი ორიენტაცია მისცეს თვითეულ მის შრომაში ხალხს საკეთილდღეოდ.

დოკუმენტი ერთსულოვნად მიიწონეს ბრატისლავის გიორგი დიმიტროვის სახელობის ქიმიური კომბინატის პარტიული ორგანიზაციის წევრებმა.

კომბინატის მუშაკების მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავიანთი მუშაობით ხელი შეუწყონ ჩეხოსლოვაკიაში მდგომარეობის სრულ კონსოლიდაციას.

ამისათვის კარგ წანამძღვრებს ქმნიან გასული წლის შედეგები. საწარმოო გეგმა კომბინატმა გადაჭარბებით შეასრულა.

მომეტ პარტიებისა და, უშინაარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირია კომუნისტური პარტიის მიერ 1963 წლის აგვისტოში გაწეული უანგარო დახმარების შედეგად შევძლებთ განვაგრძოთ მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობა, ნათქვამია ბრატისლავის „სტავოინდუსტრიის“ საწარმოს პარტიული ორგანიზაციის რეზოლუციაში.

სულითა და გულით მივესალმები ამ დოკუმენტს. იგი ღრმად და სწორად აანალიზებს მოვლენებს, როგორც იტყვიან, ფარდას ხდის უველაფერს, ხაზგასმით აღნიშნა პრაღის მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიისა და ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა ზდენეკ კრალმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მასში მოცემულია 1968 წლის აგვისტოში მოკავშირეთა ჯარების ინტერნაციონალური დახმარების, როგორც ერთადერთი სწორი და აუცილებელი დონისძიების ამომწურავი შეფასება.

ეს დახმარება რომ არა, სოციალიზმი ჩვენს რესპუბლიკაში კატასტროფის პირას აღმოჩნდებოდა. არასდროს დავივიწყებთ, რომ სწორედ საბჭოთა კავშირმა შემოგვთავაზა დახმარება 1938 წელს, რომ მან გაგვთავისუფლა 1945 წელს, გვაახლოვს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბერიოდში დახმარება, რომელიც სსრ კავშირმა გაგვიწია. და დღესაც, ინსტიტუტში, ვცდილობთ მაქსიმალურად გისარგებლოთ საბჭოთა კავშირისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სხვა წევრ ქვეყნებთან ინტერნაციონალური თანამშრომლობის სიკეთით.

ამ დოკუმენტში საკმაოდ სწორადაა გაანალიზებული განვითარება ჩვენს ქვეყანაში და ამიტომ კონკრეტული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ შემდგომი მუშაობისათვის, თქვა ჩეხიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრმა პროფესორმა ი. აბრნელმა. გასული წლების კრიზისი უშუალოდ შეეხო ჩვენს აკადემიასაც. აქაც გამოვლინდა შემარჯვენე ოპორტუნიზმი და რევიზიონიზმი. ახლა ჩვენ უკვე ბევრი რამ გავაკეთეთ ამ მოვლენათა დასაძლევად. ამოცანად დავისახეთ აღვზარდოთ სამეცნიერო კადრები მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებით.

დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი პარტია ღრმად და სწორად გააანალიზებდა ამას წინათ მომხდარ მოვლენებს და საყურადღებო დასკვნებს გამოიტანდა, აღნიშნა ქალაქ პრშიბრამის მცხოვრებმა ავტომშემკეთებელმა მუშამ იაროსლავ შობმა. ახლა ჩვენ გავეცანით ღოკუმენტს, რომელსაც მე და ჩემი ამხანაგები მთლიანად და სავსებით ვიწონებთ. ჩვენი აზრით, იგი დროული და მეტად აუცილებელია არა მარტო ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, არამედ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელებისათვის. ამ დოკუმენტის თვითეული სიტყვა სიმართლეა.

ჯანოი

გაზაფხულის ღღესასწაული

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა რადიოთი მიესალმა ყველა თანამემამულესა და განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებს მთავარის კალენდრით დღეს ახალი წლის დადგომის — ვიეტნამელი ხალხის გაზაფხულის ტრადიციული ღღესასწაულის გამო.

განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების სარდლობამ ახალ წელთან დაკავშირებით გასცა ბრძანება, რომ ოთხი ღღე-ღამით შეწყდეს სამხმარი მოქმედება მტრის ჯარების წინააღმდეგ.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალები ახალი გამარჯვებებით ეგებებიან ღღესასწაულს. სულ უფრო გადაჭრით იბრძვის სამხრეთ-ვიეტნამელი მოსახლეობა ამერიკის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის მოწოდებათა პასუხად მოსახლეობა და პატრიოტული შეიარაღებული ძალები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გარეკონ აგრესორები და მიაღწიონ სამართლიან მიზნებს.

სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტებს ამ ღღეებში ჩრდილოეთ ვიეტნამის თანამემამულენი უგზავნიან მრავალ მილოცვას.

(26 იანვარი. საკდესი).

თავისუფლება ანჯელა დევისს!

სოლიდარობა და მხარდაჭერა

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა კომუნისტის, ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლის ანჯელა დევისის დაბადების ღღე. ამერიკელი კომუნისტის პატიესაცემად მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა სან-ფრანცისკოში, ნიუ-იორკსა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა დიდ ქალაქებში.

ანჯელა დევისის დაბადების ღღესთან დაკავშირებით ამ დღეებში განუწყვეტლივ მოდის მისალოცი დეპეშები ანჯელა დევისის განთავისუფლების ეროვნულ გაერთიანებულ კომიტეტში. ეს საკდესის კორესპონდენტს ტელეფონით აცნობა ლოს-ანჯელესიდან კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ფრანკლინ ალექსანდერმა.

საერთაშორისო პროგრესული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ამერიკელ კომუნისტს მიმართავენ სოლიდარობისა და მხარდაჭერის სიტყვებით და გადაჭრით აცხადებენ პროტესტს მისი გასამართლების წინააღმდეგ.

განუწყვეტელ ნაკადად მოდის კომიტეტში წერილი ღღეში ასზე მეტი — ამერიკელებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს. წერილების ავტორები აცხადებენ, რომ სურთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საერთო-ეროვნულ საპროტესტო კამპანიაში იმ პოლიციური დევნის წინააღმდეგ, რომელიც რეაქციულმა წრეებმა დაიწყეს პოლიციის მიერ შეკოწიწებული ბრალდების ნიღბით, აღნიშნა ფ. ალექსანდერმა.

ფ. ალექსანდერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, იზრდება საპროტესტო მოძრაობა ა. დევისის სამართლებინო სამსჯავროს წინააღმდეგ, რომელიც შესაძლებელია გადაიქცეს პოლიტიკურ ტერორად კომუნისტის მიმართ. (საკდესი).

ბრატისლავა

მეგობროგის ჩაუქროგელი შუქურა

ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ხსოვნაში სამარადისოდ დარჩება საბჭოთა არმიის გმირობა დუკლის უღელტეხილზე. სწორედ აქ, მოუდგომელ მთის რაიონში მათ გაანადგურეს გერმანელ-ფაშისტთა რჩეული ჯარები და საფუძველი ჩაუყარეს ჰიტლერული ტირანიისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებას.

ეი რატომ არის, რომ დუკლა, გახდა რა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის შეგობრობის კიდევ ერთი ჩაუქრობელი შუქურა, ახლა მიმზიდველი ცენტრია ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, სამშობლოს თავისუფლება და ღირსება.

განუწყვეტლივ მატულობს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც სურთ დაათვალიერონ ისტორიული ბრძოლების რაიონი და პირადად სცენ პატივი გვირულ საბჭოთა არმიას. შარშან აქ უკვე იყო 300 ათასამდე კაცი, მათ შორის 10 ათასი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული საზღვარგარეთელი ტურისტი.

მარტო ქალაქ სვიდნიკის სამხედრო მუზეუმი, სადაც შეკრებილია განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის საბრძოლო რელიკვიები, დაათვალიერა 25 ათასმა კაცმა და ბევრმა მათგანმა შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა სიტყვები, რომლებითაც მხურვალე მადლობას უხდის დიდ საბჭოთა კავშირსა და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს.

(26 იანვარი. საკდესი).

ლონდონი. გლაზგოდან საუტჰემპტონამდე, ლივერპულიდან ნიუკასლამდე — მთელ ინგლისში გადაიარა კონსერვატორთა ანტიმუშური კანონპროექტის წინააღმდეგ მასობრივი გაფიცვების, დემონსტრაციებისა და მიტინგების ტალღამ. ასეულ ათასობით მუშამ მიატოვა ფაბრიკა-ქარხნები საამქროები, გამოვიდა ქალაქების ქუჩებში და მოედნებზე, რათა მტკიცე პროტესტი განეცხადებინა ანტიმუშური კანონპროექტის წინააღმდეგ.

* * *

სურათზე: საპროტესტო მარში ლონდონის ჰაიდ-პარკში.

საკდესის ტელეფოტო.

ქაქაკალა

მდგომარეობა უგანდაში

კამპალის რადიომ გუშინ გამოაცხადა, რომ არმიამ ხელში აიღო ძალაუფლება უგანდაში. ეს რადიოთი გამოსვლისას განაცხადა არმიის ოფიცერთა წარმომადგენელმა, რომელსაც თავისი სახელი არ უთქვამს. ეს განაცხადება მოჰყვა შეიარაღებულ შეტაკებას უგანდის დედაქალაქში არმიის ორ მეტოქე დაჯგუფებას შორის. შეტაკების შედეგად კამპალახა და ენტებში, სადაც განლაგებულია საერთაშორისო აეროპორტი, დახოცილია რამდენიმე კაცი.

არმიის ოფიცერთა წარმომადგენელმა არმიის გადაწყვეტილება ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესახებ ამით დაასაბუთა, რომ არ ეთანხმებიან მთავრობის პოლიტიკას.

მან აგრეთვე თქვა, რომ „ქვეყნის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა“ ეკისრება ენერალ-მაიორ იდი ამინს.

მდგომარეობა უგანდაში, სადაც გუშინ სამხედრო გადატრიალება მოხდა, კვლავ დაძაბული და გაურკვეველია. თუმცა, კამპალიდან მიღებულ ცნობებში ნათქვამია, რომ უგანდის დედაქალაქის ცხოვრება რამდენადმე ნორმალიზებული გახდა. ამ ქალაქში აღსდგა ტრანსპორტის რეგულარული მოძრაობა, მაგრამ ჭუხელ ცალკეულ ადგილებში კანტიკუნტად გაისმოდა სროლის ხმა.

ჯარები კვლავ იცავენ ქალაქის ძირითად მისადგომებს. ენტებეს აეროპორტი ჯერ ისევ დახურულია, ვინაიდან ასაფრენ-დასაჯდომი ზოლი დაზიანა ნალმსატყორცნის ცეცხლმა.

უგანდის ახალ სამხედრო რეჟიმს მეთაურობს 45 წლის გენერალ-მაიორი იდი ამინი. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი რიგით ჯარისკაცად მსახურობდა ინგლისის აფრიკელ მსროლელთა სამეფო პოლკში ბირმაში, ხოლო შემდეგ კენიაში. ოფიცრის პირველი წოდება მიიღო 1961 წელს, ხოლო 1962 წელს უგანდის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კაპიტანი გახდა. მოგვიანებით ინგლისში გაიარა სამხედრო სწავლების კურსი. 1966 წელს კაპიტნის წოდებით დაინიშნა არმიისა და სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსად, ხოლო 1967 წლის იანვრიდან, როცა მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა, გახდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების სარდალი.

(26 იანვარი. საკდესი).

◆

„მემკვიდრის“ ვიზიტი

ამერიკის შეერთებულ შტატებში 6 ღღის ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ესპანეთის პრინცი ხუან კარლოსი, რომელიც დიქტატორმა ფრანკომ თავის „მემკვიდრედ“ დანიშნა.

ხუან კარლოსი შეხვდება პრეზიდენტ რ. ნიქსონს, სახელმწიფო მდივანს უ. როჯერსსა და ამერიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს. (საკდესი).

ბაზრიდან

შეხვედრა მუშებთან

● **პოლონეთის** გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. იაროშევიჩი ჩეჩეთინსა და გდანსკში ჩავიდნენ. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები შეხვდნენ გემთსაშენებელი საწარმოების კოლექტივების წარმომადგენლებს. მათი საუბრის თემა იყო ქვეყნის აქტუალური პოლიტიკური და ეკონომიური პრობლემები.

მილიონი ეგზემპლარი

● **გასულ** კვირას გავრცელდა გაზეთ „უნიტას“ 1 მილიონზე მეტი ეგზემპლარი, რომელშიც დაბეჭდილი იყო იტალიის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალები. მთელ იტალიაში გაზეთის გავრცელების ფართო კამპანიაში მონაწილეობდა კომუნისტური პრესის ათასობით მუდმივი გამავრცელებელი, პარტიის აქტივისტი, ახალგაზრდათა და სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები.

დაჭრილებულნი გაანადგურეს

● **ლაოსის** პატრიოტული ძალების წარმატებითი მოქმედების შედეგად მთლიანად გაანადგურეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტების მიერ გაწვრთნილი და შეიარაღებული ლაოსის მთის ტომებისაგან შემდგარი დაქირავებულთა რაზმები, მწყობრიდან გამოიყვანეს ამერიკის ბევრი სამხედრო აეროდრომი ლაოსში.

პრეზიდენტი უარზეა

● „**პრეზიდენტი** ნიქსონი დაეინტერესა ამბობს უარს განიხილოს ამერიკელ შავკანიანთა პრობლემები იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც გამოხატავენ ზანგი მოსახლეობის ინტერესებს“, — განაცხადა ამერიკის კონგრესის წარმომადგენლთა პალატის წევრმა უ. კლეიმ.

ნეონაციისტები თარეშობენ

● **დასავლეთბერლინი.** ნეონაციისტები კვლავ სჩადიან ტეროროისტულ აქტებს გერმანელთა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ერთ-ერთ სამრეწველო ცენტრში — კრეფელდში მათ ცეცხლი წუკიდეს გერმანელთა კომუნისტური პარტიის რაიონული ორგანიზაციის შენობას. ხანძრის შედეგად შენობა დაიწვა.

რეაქციის ხრიკები

● **ჩილეს** რეაქცია აძლიერებს იერიშებს სალვადორ ალიენდეს მთავრობის წინააღმდეგ მისი დამხობის მიზნით. რეაქცია განუწყვეტლივ აწყობს შეთქმულებებს, ცდილობს ჩამოაყალიბოს მემარჯვენე ძალების ფრონტი და, რაც მთავარია, ძირი გამოუთხაროს ჩილეს ეკონომიკას, რათა ხელსაყრელი ვითარება შექმნას სამოქალაქო ომის დაწყებისათვის. გაზეთი „ხიგლო“ მოუწოდებს ჩილეს ხალხის მასებს განამტკიცონ სიფხიზლე, რათა წინააღუდგნენ რეაქციის შემოტევას.

საკდესი-რეიტერი-ფრანს პრესი-ასოშიეიტედ პრესი.

ფაქტები

რევანშისტთა თავყრილობა

დიუსელდორფში, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ადმინისტრაციულ ცენტრში გაიხსნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოპოზიციური ბურჟუაზიული პარტიის — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ყრილობა.

ყრილობის ყურადღების ცენტრშია ახალი პროგრამის პროექტი, რომელმაც კონსერვატიული ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს უნდა შეუქმნას „საშუალო პარტიის“, „სახალხო პარტიის“ რეპუტაცია. როგორც ყველაფრიდან ჩანს, ყრილობის ორგანიზატორები აპირებენ მისი ყურადღების ცენტრში დააყენონ შინაპოლიტიკური პრობლემები.

მაგრამ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ხელმძღვანელობის წრეებშიც კი ეჭვი არ ეპარებათ, რომ დისკუსია შეეხება აგრეთვე ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოკიდებულება ბუნდესტაგში ამ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის პრობლემისადმი.

მოელიან, რომ ამ საკითხებს შეეხებიან კამათში ბუნდესტაგის, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციის თავმჯდომარის ბარცელის მოხსენების გამო, აგრეთვე როცა განიხილავენ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ახალგაზრდათა ორგანიზაციის „იუნგე უნიონის“ განაწესებს, რომელიც მოითხოვს, კერძოდ, ცნონ ოდერ-ნოისის საზღვრები და დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა პოლონეთთან, ქრისტიანულ-დემოკრატიული ბუნდესტაგმი ამ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის პრობლემისადმი.

მოელიან, რომ ამ საკითხებს შეეხებიან კამათში ბუნდესტაგის, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციის თავმჯდომარის ბარცელის მოხსენების გამო, აგრეთვე როცა განიხილავენ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ახალგაზრდათა ორგანიზაციის „იუნგე უნიონის“ განაწესებს, რომელიც მოითხოვს, კერძოდ, ცნონ ოდერ-ნოისის საზღვრები და დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

იმასთან დაკავშირებით, რომ ახლა დიუსელდორფში მიმდინარეობს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიის უდიდესი პარტიის ყრილობა, გერმანელთა კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ „ყრილობისა და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მთელი საქმიანობის ნამდვილი შინაარსია ყველაზე რეაქციული წრეების საგარეო პოლიტიკის განკრძობა“. ამას მოწმობს უწინარეს ყოვლისა, ის, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა უარი თქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ევროპაში არსებული საზღვრების ცნობაზე.

გერმანელთა კომუნისტური პარტია ხაზს უსვამს, რომ სწორედ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, რომელიც 20 წლის განმავლობაში ედგა სათავეში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებას, პასუხს აგებს ქვეყანაში მსხვილი კაპიტალის ძალაუფლების აღდგენისათვის, გამალებული შეიარაღებისათვის, გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვისათვის, დემოკრატიული უფლებების ლიკვიდაციისათვის, სახალხო განათლების დარგში საგალალო მდგომარეობისათვის და სხვ.

ამჟამად ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი აგრესიული და რეაქციული ძალების დასაყრდენია, ნათქვამია განცხადებაში.

გერმანელთა კომუნისტური პარტია შემდეგ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ყრილობისათვის მზადების დროს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი დემაგოგიურად უწევდა რეკლამას პარტიის „ახალ“ პროგრამას.

სინამდვილეში ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მთავარი მიზანი კვლავ ის არის, რომ ხელი შეუშალოს ყოველგვარი დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას.

(საკდესი).

უკვდავყოთ გმირთა დიდება

მამათა საგმირო საქმეები

სამამულო ომის ფრონტებზე სხვა მომძე ერების შვილებთან ერთად ასიათასობით ქართველი იბრძოდა. მათზე მრავალი დაიწერა და მომავალშიც ბევრი დაიწერება. ეს ულევი ეპოპეა საუკუნეებს გადასწვდება და ჩვენს შორეულ შთამომავლობას საამაყოდ ექნებათ მათი წინაპრების შეუდარებელი გმირობა.

ამ ნარკვევით მინდა ქართველ მკითხველს ვაუწყო ერთ-ერთ მათგანზე, საქართველოს მამაც შვილზე ალექსი დავითის-ძე ჯავახიშვილზე.

დავიქერი სიძველისაგან გაყვითლებულ და გაცრეცილ ფრონტული გაზეთების ფურცლებს, საიდანაც კუშტად გამოიყურებიან მარად ჭაბუკად დარჩენილი ფრონტელი მეგობრები. ერთ-ერთ მათგანზე ჩვენი თანამემამულის, 23 წლის ბატალიონის მეთაურის — ალექსი ჯავახიშვილის სურათია დაბეჭდილი. იგი დინჯად, მაგრამ ოდნავ წარბებ შეჭმუხნილი გამოიყურება. ეტყობა, ფრონტელ კორესპონდენტს სურათზე აღუბეჭდავს იმ დროს, როდესაც იგი ჩაფიქრებულა, თითქოს გონების თვალით გასცქერის თავის მებრძოლებთან ერთად განვლილ მწვავე ბრძოლების პერიპეტიებს. სურათის ზვრით კი დიდი ასოებით ნაბეჭდი ლოზუნგი გვაუწყებს: „შეუნელებლად მისწიმეთ, ალყა შემოარტყეთ და გაანადგურეთ მტერი“.

ფრონტული გაზეთების ფურცლებზე ავლავ და ავლავ იჩეჩდება ბატალიონის ახალგაზრდა შეთაურის საბრძოლო მიღწევებზე. საგაზეთო მასალები გვაუწყებენ, თუ რა გამბედაობით ანადგურებდა ფრონტზე ვერაგ მტერს ჩვენი თანამემამულე ალექსი ჯავახიშვილი.

— ბრძოლის ველზე აზავთებული მებრძოლები სამი მიმართულებით უტევდნენ რიგის ყურეს. ერთი მხრიდან მიიწევდნენ ნიკოლოზ გრუდინის მზეურავები, მეორიდან — ლენინგრადის ტანკისტები, ხოლო მიზა სკულტეს მიმართულებით ალექსი ჯავახიშვილის ბატალიონი უტევდა. ყველა ესენი იყვნენ პირველები. ყველა ისწრაფოდა ყურესაკენ. ამ შემადგენლობებით იქმნებოდა შემტევი ძალა, რომელიც ძლიერ ნაკლად მიეღებოდა და დაუნდობლად ანგრევდა მტრის თავდაცვის ზღუდეებს. იმ დღეს ალექსის ბატალიონმა 50 კილომეტრი განვლო ბრძოლებით. მთელი შესაძლებლობით ჩქარობდნენ მებრძოლები, რათა გზა მოეჭრათ უკანდახეული გერმანელებისათვის, რომლებიც ისწრაფოდნენ რიგის ყურეს ნაპირებისაკენ, სადაც მათ თავწესაფარი ეგულებოდათ.

ალექსიმ გაბურებული შუბლი ნიავს მიუშვირა, ხარბად ჩაისუნთქა ნოტიო ზღვის ჰაერი და მის თვალწინ გადაიშალა მშვენიერი სანაბადა. თვალუწვდენელი. ზღვის სივრცე ოდნავ ციმციმებდა მზის სხივებზე და შავი დიდი ტალღები ხმაურით მოგორავდნენ ერთიმეორეზე. ალექსიმ შეხედა თავის მებრძოლებს, შემდეგ ზღვის ნაპირს გაადოლა თვალი. შორს, შორს, ტყეებს იქით მოჩანდა მშვენიერი ქალაქი რიგა, რომელიც ჯოვნიკი გორბაკოვი დაუკავშირდა. იგი განცვიფრდა გაბედული და საშიში ოპერაციით, სხოვა, მეგობარო, ფრთხილად იყავი. ზედმეტი სისხლი არ დაღვაროო. ამავე დროს აცნობა, რომ ქალაქ ვალგის განთავისუფლებისათვის და მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებზე გამარჯვებისათვის ფრონტის სარდლობის მიერ ალექსანდრე ნეველის ორდენით ხარ დაჯილდოებულიო. ალექსიმ მადლობა გადაუხადა და მოახსენა, ჩემთან ყველაფერი რიგზეაო.

გათენებისას, როდესაც ჩვენმა არტილერიამ დაიწყო მტრის მოწინავე ხაზის ნგრევა, ბატალიონი შეტევაზე გადავიდა, სწრაფად იკვეთნენ მტვრს მებრძოლები, გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვითი ხაზი, იწყეს წინსვლა, სანგრებში ჩაუხტნენ, იქიდან გარეკეს და თვითონ დაიკავეს მათი სანგრები. ჯაჭაღდა ფიცელი ბრძოლა. ფაშისტები არ მოელოდნენ ჩვენი ქვეითების ასეთ სახიფათო სიაბლოვეს. მათ ისინი მდინარის გადმა ეგულებოდათ. ამ მოულოდნელობამ გერმანელები ერთხანს დააბნია და უწესრიგოდ უკანდახევა დაიწყეს. შემდეგ კი კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მოახერხეს ბატალიონის საბრძოლო განლაგებამდე მიღწევა.

მაშინ ჯავახიშვილის მებრძოლები მთელი ტანით აღიმართნენ მიწაყრილზე და ხელყუმბარებით მოიგერიეს მტერი, შემდეგ თვითონ გადავიდნენ შეტევაზე და მესრი გაავლეს. ახალი ცხარე ბრძოლებით მოიპოვეს, მათ პლაცდარმი მდინარე ემაიგის დასავლეთ ნაპირზე. აქ კაპიტანმა ჯავახიშვილმა შექმნა პატარ-პატარა თავდასხმელი ჯგუფები, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, კვალდაკვალ მისდევდნენ პანიკით მოცულ ფაშისტებს, უჭრიდნენ უკანდასახვ გზებს და ასე ნაწილ-ნაწილად ანადგურებდნენ. თითქოს მარათონული ბრძოლის დასასრულიაო, არავის უნდოდა უკან დარჩენა. ყველა ისწრაფოდა რიგის ყურესაკენ.

მეორე დილით ჩვენმა არტილერიამ ავიაციის მხარდაჭერით დაანგრია მოწინააღმდეგის უკანასკნელი ფორპოსტი. გაანგრიეს თავდაცვის ზღუდე ზღაის სანაპიროს გასწვრივ და ჩვენი ნაწილები გავიდნენ კიშ-ეზერსზე. კაპიტან ჯავახიშვილის ბატალიონი, სხვებთან ერთად შეტევდა ჩრდილოდასავლეთის მხრიდან.

საბჭოთა მებრძოლები რიგის ქუჩებიდან მიერეკებოდნენ მტერს და კვარტალს კვარტალზე ათავისუფლებდნენ. საღამოთი კი მოსკოვმა მსოფლიოს ამცნო საბჭოთა ჯარების კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება — ლატვიის დედაქალაქის — მშვენიერი რიგის განთავისუფლება.

დილის, როდესაც ბრძოლის ქუხილმა თანდათან დატოვა ლატვიის დედაქალაქი და მოსახლეობამ იწყო საკუთარ ოჯახებში დაბინავება, ჯავახიშვილის ბატალიონი ტოვებდა ქალაქ რიგას და მიემართებოდა სამხრეთ-დასავლეთით, ქალაქ ლიპაიის მიმართულებით. კაპიტნის გვერდით მიდიოდნენ ბატალიონის პარტორგი ლეიტენანტი ლისენკოვი, კომორგი, უფროსი ლეიტენანტი კუზნეცოვი, შემდეგ მეტყვიამფრქვევეგეთა, მეავტომატეთა და მსროლელთა ლარვით გაჭიმული მწყობრი.

ალექსი ჯავახიშვილი ბრძოლებში 5-ჯერ დაიჭრა. იგი დაჯილდოებულია 5 საბრძოლო ორდენით და მრავალი მედლით. ომის შემდეგ დაამთავრა ინსტიტუტი და მხედრული თავდადებით შრომობს სამოქალაქო შრომის ფრონტზე.

Ი. ტატიშვილი.

დაუოკებელი ბატალიონი

ტორეზის მაქანქანასაც მართავდა

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). საინტერესო ბიოგრაფია აქვს ადგილობრივი ავტოსატრანსპორტო კანტორა-საწარმოს მძღოლს მიხეილ გაგუას. პირტიტველა ბიჭი იყო, როცა სოფელ დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მას საჭის მართვა ანდეს.

იგი სამამულო ომში იყო, დაჭრილი ტყვედ მოხვდა, მაგრამ გაიქცა, საფრანგეთის ტერიტორიაზე ფრანგ პარტიზანებს შეუერთდა და „მიშელ გაგუა“ საყვარელ კაცად იქცა.

იმ წლებში ტულეს გარეუბანში პარტიზანებს შეხვდა საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი. პარტიზანებმა ქართველი მძღოლი ტორეზის მანქანაზე დასვეს, სხვებთან ერთად საფრანგეთის მუშათა კლასის საყვარელი შვილის დაცვაც მიანდეს. მ. გაგუა საბრძოლო რელიკვიასავით ინახავს სურათს, რომელიც ბიჭებმა ტორეზთან ერთად გადაიღეს...

ქართველმა კაცმა მონაწილეობა მიიღო ქალაქების ბორდოს, სარლას, პერეგოსა და სხვათა განთავისუფლებაში. იგი დაჯილდოებულია საფრანგეთის უმაღლესი ორდენით და ოთხი მედლით.

...ახლა კვლავ მშვიდობიან შრომაშია ჩაბმული კომუნისტი მძღოლი.

ერისთავლი ბიბლიოთეკა

ომის გზებზე

ლიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, კონსტანტინე არშბა ქალაქ მოსკოვში იმყოფებოდა და კუბიშევის სახელობის წითელი არმიის საინჟინრო ჯარების ოფიცერთა გადასამზადებელ უმაღლეს კურსებზე სწავლობდა. კურსები 1941 წლის ოქტომბერში დაამთავრა და პირველი კომუნისტური დივიზიის საინჟინრო სამსახურის უფროსად დანიშნეს. დივიზიის მთელი შემადგენლობა განლაგებული იყო ხიმკის მიმართულებით: აშენებდა საკაცცხლე წერტილს, მიწაყრილებს, ხანგრძლივ საკაცცხლე წერტილებ, ტანკსაწინააღმდეგო თხრილებსა და ა. შ. კონსტანტინე არშბას უშუალო ხელმძღვანელობით ამ მიმართულებით დივიზიამ საიმედო თავდაცვითი ზღუდე ააგო. ამავე წლის ნოემბერში სარდლობამ იგი დაწინაურა პირველი დამრჩამელი არმიის საინჟინრო სამსახურის უფროსის მოადგილედ...

გაფთრებული ბრძოლები გაჩაღდა ქალაქ იახრომის მისადგომებთან. ბრძოლა უაღრესად გამწვავდა. მტერმა ამ მიმართულებით ჭარბი ძალები გადმოისროლა და გამმაგებით ცდილობდა მოსკოვისაკენ გაჭრილიყო. საბჭოთა მებრძოლები მიდგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. გაფთრებულ ბრძოლებში ჩვენი ჯარების რიგები თანდათან თხელდებოდა. შეიქმნა საშიში მდგომარეობა.

არმიის სარდლობამ მთელი რეზერვები დაძაბულ ბრძოლაში ჩაბა, მათ შორის საინჟინრო სამსახურის ნაწილებიც. კონსტანტინე არშბას დაევალა იახრომასთან ხიდის აფეთქება, რათა ოკუპანტები წინ ვეღარ წამოსულიყვნენ. მიუხედავად ვრიცალისებური ცვლილისა, კონსტანტინემ ოსტატურად განახორციელა ხიდის აფეთქება და გერმანელთა ურდოები დიდი ხნით იქნენ შეჩერებული ქალაქის მისადგომებთან. ამ ოპერაციის განხორციელების დროს კონსტანტინე არშბა მძიმედ დაიჭრა. იგი განკურნებისთანავე კვლავ თავის არმიის რიგებშია.

კონსტანტინე უმაღლესი მთავარსარდლის რეზერვის მე-20 მოტორიზებული საშტურმო-საინჟინრო ბრიგადის მეთაურია. შესაწმენაოდ გადალახა მდინარე სვირი და ოსტატურად განახორციელა შემტევი საბჭოთა ჯავშანსატანკო და მექანიზებული შენაერთების საინჟინრო უზრუნველყოფა.



1944 წლის სუსხიანი შემოდგომა იდგა. კარელიის ფრონტის ჯარებმა დაიწყეს შეტევითი ოპერაციები. კონსტანტინე არშბას ბრიგადა, მრავალ რთულ ოპერაციაში გამობრძმედილი, რიტმულად აწყობს საბჭოთა ჯარების სწრაფი წინსვლის უზრუნველყოფას. ბრიგადის პირადი შემადგენლობა საბჭოთა ჯარების სხვა საჭიროებათა ნაწილებთან ერთად ხშირად ახორციელებს მოძალადის დასაყრდენი პუნქტებისა და საცეცხლე წერტილების შტურმს, სწრაფად ალადგენს ხიდებს და მტრის მიერ დანგრეულ გზებს.

ამას ადასტურებს უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ბრძანებები, რომლებითაც კონსტანტინე არშბას მე-20 საინჟინრო ბრიგადის პირად შემადგენლობას რამდენიმე მადლობა გამოუცხადა: 1944 წლის 15 ოქტომბერს ქალაქისა და ნავსადგომის პეტსამოს შტურმით აღებისათვის, 1944 წლის 23 ოქტომბერს — ნორვეგიის საზღვრთან ბრძოლითვის, 1944 წლის 28 ოქტომბერს — ქალაქისა და ნავსადგომის კირკენესის აღებისათვის და სხვ.

ამ თავმდაბალ, მორიდებულ ადამიანზე ეს მომენტები გამახსენა პარტიის მურმანსკის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომისაგან გადმდგარი პოლკოვნიკის კონსტანტინე არშბას სახელზე გამოგზავნილმა ბარათმა. ბარათში ნათქვამია, რომ მურმანსკელი მშრომელები არასოდეს არ დავიწყებენ იმ დიდ წვლილს, რომელიც შეიტანეს პოლკოვნიკმა არშბამ და მისმა ნაწილებმა კარელიის ფრონტზე ფაშისტთა ურდოების განადგურებაში.

პირადად მე და ყველა მისი მებრძოლი ვამაყობთ, რომ სამამულო ომის ფრონტზე ვიბრძოდით პოლკოვნიკ კონსტანტინე არშბას უშუალო ხელმძღვანელობით.

დღეს გადამდგარი პოლკოვნიკი კონსტანტინე არშბაც, როგორც მისი ყოფილი მებრძოლები, მშვიდობიანი შრომის ფარხულშია ჩაბმული, ემსახურება ერთ-ერთ სამშენებლო უბანს და მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.

კ. უკლება,

საბჭოთა კავშირის გმირი.

ბრძოლიდან შრომაში

არ დავიწყებ მოყვრისა...

ისინი ექვსნი არიან. ექვსივე ქუთაისელი. მათი საბრძოლო ცხოვრება ჯერ კიდევ სამამულო ომამდე დაიწყო. 1939 წლის ზაფხულში სრულიად ახალგაზრდა ოფიცრებმა გრიგოლ ფაჩუაშვილმა, ირაკლი არსენიძემ, სამსონ ქაჯაიამ, ვლასი თავართქილაძემ და ბორის არობელიძემ, რომლებმაც სწორედ მაშინ დამამთავრეს სამხედრო სასწავლებელი, პირველი „საბრძოლო ნათლობა მიიღეს.

ეს იყო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიწაზე, მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში. ხუთივე ქართველი ოფიცერი თავიანთი ნაწილებით მედგრად უტევდა იაპონელ სამურაებს. მათთან ერთად იყო ქუთაისელი ექიმი ვალერიან ივანეშვილი.

1941 წლის ზაფხულში, სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ექვსივე ვაჟკაცი ფრონტზე წავიდა. მძიმე განსაცდელის ცეცხლში კიდევ უფრო გამოიწრთნენ მებრძოლი მეგობრები, ყველამ მაღალი სამხედრო წოდება დაიმსახურა და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

ერთი მათგანის, ბატალიონის მამაცი შეთაურის ირაკლი არსენიძის საგმირო საქმეები კიდევ ერთხელ გადაიკითხა ჩვენმა მკითხველმა „კომუნისტის“ 1970 წლის 18 იანვრის ნომერში დაბეჭდილ წერილში „ამბავი ქართველი მერესიევის გმირობისა“.

სასახარულოა, რომ სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი მეომრები ახლაც ახალგაზრდული ენერგიით ეწევიან სამშობლოს საკეთილდღეო შრომას. პოლკოვნიკი გ. ფაჩუაშვილი ქუთაისის სამხედრო კომისარია, თადარიგის მაიორი ი. არსენიძე ლიეთფონის ქარხნის ერთ-ერთი განყოფილების გამგეა, თადარიგის პოდპოლკოვნიკი ს. ქაჯაია ელექტრომექანიკურ ქარხანაში მუშაობს, თადარიგის მაიორი ვ. თავართქილაძე — სამეცნიერო მეურნეობაში, თადარიგის მაიორი ბ. არობელიძე — „ქუთაისმრეწვადრობაში“, ხოლო სამედიცინო სამსახურის პოდპოლკოვნიკი, ექიმი ვ. ივანეშვილი — ქუთაისის ონკოლოგიურ დისპანსერში.

მონღოლი ხალხი არასოდეს არ ივიწყებს თავისი მიწის განმათავისუფლებლებს, მოძმე საბჭოთა ხალხის სახელოვან შვილებს. ეს ის მონღოლეთის რესპუბლიკის მთავრობამ ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ხალხინ-გოლის გმირი საბჭოთა მეომრები.

ამას წინათ გ. ფაჩუაშვილს, ი. არსენიძეს, ს. ქაჯაიას და ვ. თავართქილაძეს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ორდენები „მხბრძოლი დამსახურებისთვის“ და სამახსოვრო მედლები „ხალხინ-გოლზე გამარჯვების 30 წლისთავი“, სამახსოვრო მედლები გადაეცათ აგრეთვე ბ. არობელიძეს და ვ. ივანეშვილს.

შ. ჯავახაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

სისხლით ნაკურთხი ქმობა

თიანეთი. (საკ. კორ.). სამამულო ომის დროს უკრაინაში, სუმის ოლქის სუმის რაიონის სოფელ ტოკართან გმირულად დაეცა თიანეთელი ვაჟკაცი შალვა ალექსანდრეს-ძე მოლარიშვილი. დიდი კობზარის ტარას შევჩენკოს მიწაში განისვენებს ვაჟას მთების შვილი. შესაძლოა ეს ამბავი საქართველოში ვერც კი გაეგოთ, ტოკარის საშუალო სკოლის მოსწავლეებს წერილი რომ არ მოეწერათ ქართველი მეომრის ოჯახისათვის.

ოთხი წლის წინათ შვილის წმიდა საფლავზე იყვნენ მამა ალექსანდრე და სხვა ნათესავები. საძმო საფლავზე ბევრი უკრაინელი მოვიდა. ხალხმრავალ მიტინგზე ბევრი ამაღელვებელი სიტყვა ითქვა უკრაინელი და ქართველი ხალხების ძმობისა და მეგობრობის შესახებ. მას შემდეგ სიყვარულის უწყვეტი ძაფი გაიბა შორეულ ტოკარსა და თიანეთს შორის. რამდენიმე ხნის წინ მეგობრობის მატარებლით თბილისში ჩამოვიდნენ ტოკარელი მშრომელები, რომლებსაც გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ალექსანდრე მოლარიშვილმა და გმირის მახლობლებმა.

კიდევ ერთი გარიბალდიელი

„საინტერესო შეხვედრათა“ კლუბის კვალდაკვალ

გასული წლის აგვისტოში გაზეთმა „ახოვსი მორიაკმა“ თავის მკითხველებს უამბო თბომავალ „ფარაბის“ მეზღვაურთა შეხვედრაზე იტალიის წინააღმდეგობის მორაობის ვეტერანებთან. გაზეთში გაშუქებული იყო მორიგი სხდომა „სამახსოვრო შეხვედრათა კლუბისა“, რომელიც უკვე დიდი ხანია მუშაობს გემზე.

1970 წლის 12 ივნისს კლუბის წევრებმა „ფარაბის“ გემბანზე მიიწვიეს კომუნისტი ჯიხო ტასე — გარიბალდიელთა 58-ე ბრიგადის მეთაური. ამ ბრიგადაში, რომელიც „ორესტის“ სახელს ატარებდა, 1944 წლის 7 ნოემბრიდან 1945 წლის 2 თებერვალამდე იბრძოდა საბელოვანი რუსი ჯარისკაცი თეოდორე ანდრიანოვის-ძე პოლუტაევი. ცნობილია, რომ 1944 წლის ზაფხულში პოლუტაევი იტალიელ კომუნისტთა დახმარებით გაიქცა სამხედრო ტყვეთა ფაშისტური ბანაკიდან გესტის მახლობლად, შეხვდა პარტიზანებს და შევიდა დივიზიაში „პინაკ ჩიკერიში“. იგი მამაცურად იბრძოდა იტალიელ პარტიზანთა რიგებში და დაიღუპა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაბა კანტალუპოს მახლობლად.

ჯიხო ტასესთან ერთად, რომელიც ომის დროს პარტიზანულ მეტსახელს „ვეფხვს“ ატარებდა, შეხვედრაზე მოვიდნენ ბრიგადის კომისარი ფრანჩესკო რინი, რომელიც ომის დროს „ულისის“ სახელს ატარებდა, და პარტიზანული რაზმის ყოფილი მეთაური ტარარბრა ბენვენუტო. ეს უკანასკნელი პირადად იცნობდა თეოდორე პოლუტაევს და უამბო ჩვენს მეზღვაურებს თავის მებრძოლ მეგობარზე ქართველ პავლე გვასალიაზე, რომელიც ამჟამად ცხოვრობს საქართველოს სსრ ზუგდიდის რაიონში.

მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის რაიონული საბჭოს აღმასკომის ჭუშაკების სამუალებით მოვძებნეთ პავლე ავგ სეხტის-იე გვასალია, რომელიც ამჟამად მუშაობს ჯავშირგაბმულობ ი ს განყოფილების უფროსად სოფელ დიდ ნემში.

პავლემ გვიამბო, თუ რა გადახდა მას ომის მრისხანე დღეებში. იგი, მაშინ ოცდასამი წლის ახალგაზრდა, საარტილერიო სამსახურის უმცროსი ლეიტენანტი, საბჭოთა არმიის რიგებში იბრძოდა. ერთ-ერთ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა თავში, ცობრა დაკარგა და ტყვედ აღმოჩნდა.

1943 წლის დამლევს პავლე გვასალია ყაზახ თემირ აბაკეროვთან და ტაჯიკ ურბახოვთან ერთად მოხვდა ბანაკში, რომელიც ქალაქ კიევთან მდებარეობდა. აქედან იგი 11 ამხანაგთან ერთად გაიქცა და ტყეს შეფაფარა თავი. აქ გვასალია და მისი მეგობრები შეხვდნენ პარტიზანთა რაზმს, რომელსაც მეთაურობდა იტალიელი ვირგოლა. პირველ ხანებში ადამიანებს, რომლებმაც იტალიური ენა არ იცოდნენ, უნდობლად უყურებდნენ. ამასთან მათ არ აღმოჩნდათ არავითარი დოკუმენტები. მარტო პავლე გვასალიას სასწაულით შერჩენოდა პილოტურის წითელი ვარსკვლავი.

— ჩვენ მაშინვე მოგვაქცია ყურადღება სარდლობამ, — იხსენებს პავლე ავქსენტის-ძე. — 1944 წლის მაისში ათეულის მეთაურად დამნიშნეს.

იმ დროს ბრიგადა „ორესტის“ პლაცდარმი იყო ეგრეთწოდებული სკრიბიას ზვიხული. მილახო — გენუის ავტოსტრადაზე გადაჭრავდით ხოლმე მანქანებს, რომლებიც მიიჭარბოდნენ რონოს გარნიზონში — დაბაში, სადაც იდგნენ გერმანელი და იტალიელი ფაშისტების ჯარების გაძლიერებული ქვეგანაყოფები, რომლებიც იცავდნენ ხიდს მდინარე სკრიბიაზე.

ტერეზიოსთან საბრძოლო ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის სარდლობამ პავლე გვასალია 1944 წლის ივნისტომში დანიშნა რაზმის „ვილას“ მეთაურის მოადგილედ. რაზმის მეთაური იყო გამოცდილი და მამაცი კომუნისტი ტარარბრა ბენვენუტო, რომელიც ძველ მომენტებში პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა პარტიზანებს. მისი პარტიზანული სახელი იყო „კორფო“, რაც ნიშნავს „ყვავს“.

ბენვენუტოს რაზმის გვერდით იბრძოდა ნინო ფრანჯის რაზმი, რომლის რიგებში 1945 წლის 2 თებერვალს დაიღუპა თეოდორე პოლუტაევი.

— იმ დღეებში, — წერს თავის წერილში პ. გვასალია, — ჩვენს რაზმს გერმანელთა ჯარებმა უკან დაახვიეს მთებში. მაგრამ შემდეგ ჩვენ ვაიძულეთ პიტლეროელები დაეხიათ სოფელ გრონეფეშისაკენ. მოწინააღმდეგემ მიიღო მაშველი ძალები და კვლავ უნდოდა ბრძოლა გაეგძელა ჩვენთვის, მაგრამ შესაძლებლობა არ ძევეცოთ თუნდაც ერთი ნაბიჯით წამოწევა იმ ადგილისაკენ, სადაც ჩვენი რაზმი იდგა. ფაშისტებმა ვერ გაუძლეს რაზმს შეტევას და დაიხიეს მთის მწვერვალისაკენ, ამასთან ბრძოლის ველზე ბევრი მოლული და დაჭრილი დატოვეს. მძიმე მსხვერპლი იყო ლიგურიელი პარტიზანების და მათი უცხოელი თანამებრძოლების რიგებშიც. 1945 წლის მარტში, როცა ჩვენ გადავეჭრით ვრონეფეშისაკენ მიმავალი გზა, რაზმმა დაკარგა მორმასალელი 18 წლის ახალგაზრდა ჯონი. მდინარე სკრიბიას ხიდზე თავდასმის დროს დაიღუპა ჩვენი ძმახნაგი, რომელსაც „ფერერას“ ეძახდით. ჩემს გვერდით იბრძოდნენ ჩემი თანამემამულეები: მოსკოველი ალექსანდრე სიმონის-ძე შილენი, ვიტებსკელი მიხეილ აკულოვიჩი, ალექსანდრე ბოგომოლოვი, ივანე ბოიდავიოვი და ივანე შალვაძე. იტალიელთა მხარდამხარ იბრძოდნენ ყაზახი და უზბეკი ხალხების შვილები ბაბაეროვი და ურბანოვი. რაზმი ეროშარიტად ინტერნაციონალური იყო. მასში იყვნენ ავსტრიელი — მეტსახელად „ვენა“, ფრანგი „მარსელე“, გერმანელი „სტრაპაცო“, პოლონელები „იოზეფი“ და „აუგუსტო“.

პარტიზანები შესანიშნავად არმეტენდნენ თავს მათთვის დავალებულ დაზვერვას გენუის მიდამოებში. ისინი თავიანთ სარდლობას ძვირფას ცნობებს აწვდიდნენ.

— ზირადად მე მონაწილეობა მივიღე გერმანელთა ბატალიონების განიარაღებაში, დავკითხავდი ტყვეებს. ისინი თავიანთ სარდლებს ვეკითხებოდნენ, — ამბობს პავლე. — 1945 წლის მარტში ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ მთელი რიგი დასახლებული პუნქტების განთავისუფლებაში ვინოსისა და სანპერდერინოს მიდამოებში.

1945 წლის 25 აპრილს პარტიზანებმა და ქალაქის აჯანყებულმა მოსახლეობამ გერმანელთა გარნიზონს სარდლობა აიძულეს ხელი მოეწერა გენუის კაპიტულაციის აქტისათვის. რაზმ „ვილეს“ დაევალა გაეწმინდა 20 სეტტემბრის სახელობის ქუჩა ჰიტლეროელებისაგან. 6 მაისს რაზმი დასასვენებლად განლაგდა კასტენო დი ალბერტიეში. სარდლობის დავალებით პარტიზანები ასრულებდნენ სხვადასხვა ოპერაციებს, ეხმარებოდნენ იტალიელ მოქალაქეებს მოფაშისტო ელემენტების გამომეღვნებაში, ამავე დროს მონაწილეობდნენ უცხოეთში მყოფი საბჭოთა მოქალაქეების შეგროვებასა და სამშობლოში გაგზავნაში.

პავლე გვასალიამ ომისშემდგომ წლებში დაამთავრა სამსახური საბჭოთა არმიის რიგებში, დაბრუნდა სამშობლოში და მშვიდობიან შრომას შეუდგა. იგი სათუთად ინახავს მებრძოლი მეგობრების ფოტოსურათებს და მათი მამაცობის ხსოვნას.

ბ. სლუჩანკო.

ბ. ქერჩი.

• • •

სურათზე: ნინო პლანჯზე პ. გვასალია (მარცხნივ) და ტ. ბენვენუტო. სურათი გადაღებულია პარტიზანების მიერ ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის განთავისუფლების შემდეგ.

ტყე-პარკი არბოშიკის მთაზე

არბოშიკი წითელწყაროს რაიონის ერთ-ერთი დიდი და ღონიერი სოფელია. სამამულო ომის წლებში ამ სოფლიდან 540 ვაჟკაცი იბრძოდა სამშობლოს დასაცავად. მათგან 340 გმირულად დაეცა და სამშობლოს ველარ დაუბრუნდა. მადლიერმა თანასოფელელებმა მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად მთაზე, რომელიც სოფელს ზემოდან დაჰყურებს, ობელისკი აღმართეს, ერთ ჰექტარზე გააშენეს ტყე-პარკი. დარგეს მარადმწვანე ხეები. გულმოდგინედ მოვლა-პატრონობის შედეგად ნერგებმა გაიხარეს, წლის ყოველ დროს საამოდ შრიალებენ.

ყოველწლიურად გაჭარჯვების დღეს — 9 მაისს აქ იმართება მიტინგი, იგონებენ დაღუპულ გმირთა სახსოვრებას. ომის ვეტერანები ახალგაზრდობას უნერგავენ პატრიოტულ გრძნობებს, მოუწოდებენ კარგი სწავლისა და შრომისაკენ სამშობლოს სადიდებლად. (საკ. კორ.).

დიდების ძეგლი

ომანისში, რაიონული ცენტრის ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, მნახველთა ყურადღებას იპყრობს 12 მეტრი სიმაღლის სკულპტურული გამოსახულება. ეს არის ომიდან შინმოუსვლელთა პატივსაცემად აღმართული დიდების ძეგლი. მისი ავტორები არიან არქიტექტორი თ. გუნია და საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ს. შეროზია.

ფოტო ბ. ჭიტანავასი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ბოლონური კრესის ფურცლებზე

ვინ იცნობდა ირინე სხირტლაძეს?

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებს ახსოვთ, 1969 წლის 13 სექტემბრის ნომერში გამოვაქვეყნეთ ინტერვიუ. ვარშავის უნივერსიტეტის ძველი აღმოსავლეთის ფილოლოგიის კათედრის დოცენტ იან ბრაუნთან. ჩვეი კულტურის მეგობარი იან ბრაუნი არა მარტო მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა და კრაკაგანდას უწევს პოლონეთში ქართულ კულტურას, აგრეთვე ცდილობს საზოგადოების წინაშე გააცოცხლოს მისი საშობლოს განთავისუფლებისათვის დაღუპული ქართველ მებრძოლთა სახელები. იანმა მაშინ დაგვისახელა რამდენიმე ქართველი მებრძოლთა გვარი, რომლებიც განისვენებენ შორეულ პოლონეთის მიწაში, მათ შორის იყო 1944 წლის ვარშავის ცნობილი აჯანყების მონაწილე, ქართველი ქალიშვილი ირინე სხირტლაძე, რომლის საფლავი მას ენახა პოვონსკის სასაფლაოზე. საფლავზე ამოკვეთილი წარწერიდან იანმა შეიტყო, რომ ირინე დაღუპულა 1944 წლის 14 სექტემბერს 16 წლისა. იგი იყო ახალგაზრდული გმირული ბატალიონის „ბრასოლას“ მებრძოლი, მისი ფსეუდონიმი ყოფილა „ირჯა“, ის დაჯილდოებიათ მამაცობის გამოჩენისათვის ორდენით.

გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში ჩვენ ვთხოვდით „კომუნისტის“ მკითხველებს, თუ ვინმე იცნობდა ირინე სხირტლაძის მშობლებს ან ნათესავებს, მოეწერათ რედაქციისათვის, აღგვედგინა ქართველი გმირი ქალიშვილის სახელი. მაგრამ პასუხი ჯერ მივიღეთ. ისე, წერილმა დიდი დაინტერესება გამოიწვია ჩვენს მკითხველებში, გვწერდნენ, გვირეკავდნენ ტელეფონით, იქნებ რაიმე დამატებითი ცნობები მიიღო რედაქციამ ირინეს შესახებ და გვთხოვდნენ გვეცნობებინა გაზეთის საშუალებით.

ჩვენმა ქუთაისელმა მკითხველმა, პედაგოგმა მარგარიტა კიკაბიძემ შეგვატყობინა, რომ მას ვარშავაში გაეგზავნა კიდევ წერილი, სადაც ის პოლონელ მეგობრებს სთხოვდა დაწერილებით შეეტყობინებინათ ირინეს დაღუპვის ამბავი.

პოლონელები გამოეხმაურნენ საქართველოდან მიღებულ ბარათს, რომელიც გამოქვეყნეს ვარშავის გაზეთ „მასსარს ვეჩერნაში“. ამას წინათ ამავე გაზეთში დაიბეჭდა ჟურნალისტ ტადეუშ პაიდას წერილი, რომელიც მიმოიხილავს ირინე სხირტლაძის თანამემამულეთა მოგონებებს, გაგზავნილს გაზეთისათვის.

პოლონელი ჟურნალისტის წერილის თარგმანი რედაქციას გადმოსცა „სსრ კავშირ-პოლონეთის“ მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა ს. რავიჩმა.

აი რას ვკითხულობთ თადეუშ პაიდას წერილში:

„როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველის მაგისტრ ვესლავა კამპერ-გლუშჩინსკაიას წერილიდან ირკვევა, ირინე სხირტლაძე ყოფილა ბატალიონ—აკ „ზონტის“ მეკავშირე და გაიარა ვარშავის ცნობილი აჯანყების მთელი საბრძოლო გზა. იგი დაიღუპა 1944 წლის 14 სექტემბერს ლიუდხოის ქუჩაზე.

ირინე დაიღუპა თავის მეგობარ ვარვარა ოლკოვსკაიასთან ერთად. ეს მოხდა მაშინ, როცა ჩვენ, — წერს კამპერ-გლ

საქართველოს ამა-ბარეში

„საქართველოს კომუნისტი“ № 1

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ყურნალ **„საქართველოს კომუნისტის“** პირველი ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია სტატიები და წერილები: **მოწინავე** — კომუნიზმის საქმე იმარჯვებს!; **ბ. მერკვილაძე, ნ. კომახიძე** — იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა — ყურადღების ცენტრში; **ი. კოდუა** — ქვეყნის მთლიანი ელექტრიფიკაციის ლენინური გზით; **თ. ხოშტარია, ი. ყიფიანი,** — ვ. ი. ლენინი ენციკლოპედიური ლიტერატურის შესახებ; **ა. აბესაძე** — საბჭოთა დემოკრატია და სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება; **გ. ფაცურია** — სოფელს — თავისი მრეწველობა.

განყოფილებაში **„საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის“** გამოქვეყნებულია: **ს. ისაკოვი** — ესტონეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან; **გ. ბუაგულაშვილი** — სამხრეთ ოსეთის მშრომელთა წვლილი.

„პარტიული ცხოვრების“ განყოფილებაში დაბეჭდილია: **ზ. ლომაძე** — რა გვიჩვენა ანგარიშგება-არჩევნებმა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში; **ვ. ხოდელი** — ვადამდე ავიღეთ ხუთწლედის მიჯნები.

ჟურნალს აგრეთვე აქვს განყოფილებები: **„საერთაშორისო თემაზე“**, **„მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებისათვის“**, **„პარტიული და კომკავშრული განათლების სისტემის მსმენელთა დასახმარებლად“**, **„კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“**.

ეცნობიან მშობლიურ მხარეს

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ელექტროზენკალი გოდერძი სამხარაძე საუცხოო ალპინისტიც არის. მისი ხელმძღვანელობითა და მოსაწვლეობით მაღაროელები და მოსწავლეები ავიდნენ მდინარე ყვირილას ხეობის ისტორიულ გამოქვაბულებში, სადაც ბევრი უძველესი იარაღი და ნივთი აღმოაჩინეს. ახლა ეს ძვირფასი ნაპოვნი გამოფენილია ორჯონიკიძის სახელობის მაღაროსა და ჭიათურის მესამე საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში.

გ. სამხარაძე პირველთანრიგოსანი ალპინისტია. იგი უძღვება მაღაროსა და ქალაქის მესამე საშუალო სკოლის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობის სექციებს. მაღაროელებმა და მოსწავლეებმა დალაშქრეს ოსეთისა და რაჭა-ლეჩხუმის უღელტეხილები და მწვერვალები, შეისწავლეს ისტორიული ძეგლები.

მოსწავლეთა ტურისტული სექციის წევრებმა დარეჯან ხვედელიძემ, მარინე სამხარაძემ, დარეჯან კურტანიძემ, ნინო ღუღუნიშვილმა, ამირან თევდორაძემ, თემურ ნოზაძემ და სხვებმა წითელი ტროშები ააფრიალეს ძნელად ასასვლელ კაცხის სვეტზე, ბუბისა და სისამთის მწვერვალებზე, ნაქერალასა და ოსეთის მთებში.

სექციის წევრებმა ახლახან დაიპყრეს საწალიკის მწვერვალი, რომელიც ზღვის დონიდან 1.900 მეტრზე მდებარეობს: იქ დროშა ააფრიალეს, კოცონი ააგზგიზეს. უკან დაბრუნებისას დათვალიერეს ნისლის ციხის უძველესი ნანგრევები.

დიკლომი—მეტალურგთა საახალხო უნივერსიტეტს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფერომეტალდნობთა ქარხნის შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მართვის საახალხო უნივერსიტეტი ასზე მეტ მეტალურგს, ენერგეტიკოსსა და ეკონომისტს აერთიანებს. უნივერსიტეტის რექტორია საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი ელ. გაზენილაძე. მსმენელები იფართოებენ ტექნიკურ-ეკონომიური ცოდნის ჰორიზონტს, თეორიას უკავშირებენ წარმოების საკითხებს.

სახალხო უნივერსიტეტი ნაყოფიერად მუშაობს. ახლახან ქარხანაში სასიხარულო ამბავი მოვიდა. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სახალხო უნივერსიტეტების საკავშირო დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობისათვის მეტალურგთა საახალხო უნივერსიტეტი საქართველოს სსრ სახალხო უნივერსიტეტების საბჭომ დააჯილდოვა დიპლომითა და ფულადი პრემიით.

სატელეფონო საღგური სოფელ თელავში

თელავი. (საკ. კორ.). კარგი საჩუქარი მიიღეს სოფელ იყალთოს ზ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა. ამ დღეებში აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა 100-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური. ახლა კოლმეურნეობის სატრაქტორო პარკთან, მეცხოველეობის ფერმებთან, სოფლისა და მარცვლეულის საშრომ პუნქტებთან, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა ობიექტებთან დამყარებულია სატელეფონო კავშირი.

ზღვის ერთი აბობოქრება

ზღვა ცოცხალ არსებას ჰგავს. ზოგჯერ ისე მშვიდია, მიძინებული გეგონება. მაგრამ ზოგჯერ ისე მოიკრებს ძალას, ტალღები ისე შედგება ყალყზე, იფიქრე, სადაც არის ნაპირებს გადმოხეთქავსო.

ასე მოხდა ამ რამდენიმე დღის წინათ. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის ნავსადგურს ტალღაამკცევი იცავს — ზოგჯერ გახელებული ზვირთები ზამოქცია და გუგუნით შემოიჭრებიან ნავსადგურის ზონაში. ამ სურათზე, რომელიც ს. ანჯელომ გადაიღო, სწორედ ის მომენტია ალბეჭდილი, როცა მრისხანე ტალღა სანაპიროს რკინა-ბეტონს მიასკდა და ძალაგამოლეული სადაც არის უკუიქცევა.

ხალხის სამსახურში

მაიაკოვსკის რაიონის ცენტრალური აფთიაქის კოლექტივს ყოველწლიურად მოწინავეთა შორის ასახელებენ. აქ მოსახლეობას სანიმუშოდ ემსახურებიან, სამკურნალო საშუალებებს ამზადებენ დროულად და მაღალხარისხოვნად. ფოტოკორესპონდენტმა ბ. ბერსამიამ ეს სურათი იმ მომენტში გადაიღო, როცა მაიაკოვსკის ცენტრალური აფთიაქის რეცეპტორი-კონტროლიორი ა. ლომიძე (ცენტრში) და ასისტენტები თ. დვალიძე და მ. ჩიტაძე ამოწმებდნენ დამზადებულ წამლებს გაცემის წინ.

მეთოთხმეტე გაკაჭრჯვეგა

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდები განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. წლევანდელ სეზონში უჩვეულოა ლენინგრადის „სპარტაკის“ წარმატება. სპარტაკელებმა მხოლოდ ერთხელ წაებორძიკეს, ისიც სტარტზე, შემდეგ კი ზედიზედ მოიგეს 14 თამაში.

მორიგი მატჩი ლენინგრადელებს ჰქონდათ უმაღლესი ლიგის დებიუტანტთან — მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდთან და გბამარჯვეს ანგარიშით 74:59. სპარტაკელები 15 თამაშიდან შეგროვილი 14 ქულით ლიდერობას განაგრძობენ.

თბილისის „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ გუნდების მატჩი, რომელიც 25 იანვრისათვის იყო დანიშნული, გადატანილია.

გუნდიდან—გუნდში

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების ხელმძღვანელობასა და მოთამაშეთა რიგებში არის ზოგიერთი ცვლილება, მაგრამ შარშანდელთან შედარებით გადასვლა-გადოსვლებმა ბევრად იკლო.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ფეხბურთელთა ერთი კოლექტივიდან მეორეში გადასვლების შესახებ. აი ზოგიერთი ცვლილება მწვრთნელთა შემადგენლობაში: მოსკოვის „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ ყოფილი მოთამაშე სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. მამედოვი დანიშნულია ბაქოს „ნეფტჩის“ უფროს მწვრთნელად. მოსკოვის „ტორპედოს“ უფროს მწვრთნელად დაბრუნდა ვ. მასლოვი. მოსკოვში დაბრუნდა აგრეთვე ერევნის „არარატის“ მწვრთნელი ა. პონომარიოვი. იგი იმუშავებს სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში. ალმა-ატის „კაირატიდან“ კიევის „დინამოში“ უფროს მწვრთნელად გადავიდა ა. სვეიდოვი.

სპორტული მუზეუმი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის ცენტრში, ფალიაშვილის ქუჩაზე გაიხსნა სპორტული მუზეუმი. აქ წარმოდგენილია 12 ათასამდე ძვირფასი სპორტული რელიკვია, რომელთა დიდი ნაწილი ამ საქმის ენთუზიასტმა, პედაგოგმა და სპორტსმენმა ზურაბ ჯავახაძემ შეაგროვა.

მუზეუმის ექსპონატები მოგვითხრობენ საბჭოთა სპორტის წარსულსა და აწმყოზე. უნიკალურ რელიკვიებს შორის არის ბედნიერი ბურთი, რომელმაც სამხრეთ ამერიკაში გათამაშებული ფინალური მატჩის დროს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოუპოვა სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრებ გუნდს. აქვეა ამავე მატჩის გმირის ზურაბ საკანდელიძის სპეციალური პრიზი, აგრეთვე სლავა მეტრეველის ის მაისური, რომლითაც საბჭოთა ნაკრების ფორვარდი ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატში გამოდიოდა.

მუზეუმში წარმოდგენილია სპეციალური პრიზები, თასები, მედლები, ვიმპელები, სამახსოვრო საჩუქრები, რომლებიც ქართველმა სპორტსმენებმა საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობებზე მოიპოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვი

● **ჟირომი.** ეს მოხდა კოლმეურნეობა „კრასნი ოკტიაბრში“. მწველავმა ვილა გრუნტალმა ცხენი შეაბა და ნამჯის მოსატანად მინდორში წავიდა. მარხილი ზვინის ახლოს დააყენა. ცხენი უეცრად შეშფოთდა. კოლმეურნე ქალმა ნამჯას ორთითი რომ გაუყარა, ზვინიდან ღრენა მოისმა და გამოჩნდა... დათვის თავი. ქალი მარხილში ჩახტა და ცხენი სოფლისაკენ გააქანა. გადაწყვეტეს დათვი შეეპყრათ. ეს იკისრა ახალგაზრდა კოლმეურნემ არნოლდ ტონქსონმა. მხეცს მალე მიაგნეს. ძველი წაქცეული ნაძვის ფესვებში ჩაწოლილიყო და ფშვინავდა. ადამიანების ხმა რომ მოესმა, დათვი წამოხტა და არნოლდმა იქვე მარჯვედ ჩამოაცვა კისერზე მაგარი თოკი. დათვი მორჩილად გაპყვა ადამიანს. იგი ფარდულში დააწვინეს. ახლა დათვს სძინავს და თან თათს იწუწნის. „ტყის პატრონის“ დასახედავად მეზობელი სოფლებიდანაც კი მოდიან მცხოვრებლები. („პრავდა“).

ბუნაგი თივის ზვინში

● **ულეველ** შემთხვევისათვის წაიღეს თან თოფი სვერდლოვსკის ოლქის ვერხოტურსკის ტყის მრეწველობის მეურნეობის მეფერმე ვ. ი. ვოლოკანინმა და ტრაქტორისტმა ს. ს. ფომინმა, როცა ტყეში წავიდნენ ზაფხულში დამზადებული თივისათვის. გაანერეს ტრაქტორი და შეუდგნენ მუშაობას. თითქმის მთელი თივა დატვირთეს, რომ უცბად ზვინი შეერხა. თივიდან გამორჩნდა ... დათვი. გაფთრებული მხეცი ვოლოკანინს ეძგერა. მან მოასწრო თოფის ლება და ორჯერ გაისროლა.

ალმოჩნდა, რომ ესროდენ უცნაური ადგილი გამოსახამორგებლად დათვს სრულიად გარკვეული მიზეზის გამო აურჩევია: შემოდგომაზე თაი ოტკუნია და ჩვეულებრივი ბუნაგი ვეღარ მოუწყვია.

სვერდლოვსკი.

კატის „შვილობილი“ ციყვები

● **სოფელ** სურდეგის მცხოვრების იონას ლაბაკოსისს ბაღში სწორედ მოდის ხოლმე სამი ციყვი.

...გასული წლის გაზაფხულზე ლაბაკოსების კატამ ხუთი კნუტი გააჩინა. პატრონებმა მხოლოდ ერთი დაუტოვეს. კატამ მოიწყინა. ერთხელ იგი საღდაც გაქრა. სალამოს ტყიდან რომ მობრუნდა, კატას ფრთხილად მოჰყავდა კბილებით სამი პატარა ციყვი. „დედობილი“ მუშუს აწოვებდა მათ, როგორც საკუთარ „პირშოს“.

როცა ციყვები წამოიზარდნენ, ბავშვებმა ტყეში წაიყვანეს. მაგრამ სახლს, სადაც გაიზარდნენ, ციყვები არ ივიწყებენ.

ვილნიუსი.
(საკადესის კორ.).

ოლიმპიადა

„ბაკურიანი“ 1971

ბასოგრიოგისათვის, ოსტატოგისათვის

დიდი სჯა-ბაასი იყო ჩვენი ფეხბურთის გამო 25 იანვარს მოსკოვში ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის გაფართოებულ პლენუმზე, რომელზეც მიიწვიეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ა. ივონინმა გააკეთა მოხსენება „მასობრივი ფეხბურთის განვითარებისა და საბჭოთა ფეხბურთელების სპორტული ოსტატობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“.

ახლა ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთს თამაშობს 4 მილიონზე მეტი ადამიანი. სპორტის ეს სახეობა ტემპარატად მასობრივი გახდა. მასობრივი ფეხბურთის განვითარებისათვის დიდ მუშაობას ეწევიან რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის, უკრაინის, საქართველოს, ყაზახეთისა და სხვა რესპუბლიკების სპორტული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. უფრო პოპულარული გახდა ახლა ფეხბურთი სოფლად, განსაკუთრებით შუა აზიის რესპუბლიკებსა და ყაზახეთში, სადაც წინათ ეს თამაში სუსტად იყო განვითარებული.

მიუხედავად ამისა, ნამდვილად მასობრივი ფეხბურთის განვითარებაში მაინც გვაქვს ნაკლოვანებანი. ზოგიერთი ფიზკულტურული ორგანიზაციის, სპორტული საზოგადოების საქმიანობა უკეთესად მიზნად ისახავს უზრუნველყონ შეჯიბრებაში თავიანთი ოსტატების მონაწილეობა, მაშინ როცა, სპორტსმენების ძირითად მასას, რომელიც ფიზკულტურული კოლექტივების სექციებში ვარჯიშობს, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა.

მაგრამ ხომ ცნობილია, რომ მასობრიობის გარეშე, ფართოდ განვითარებული, ვთქვათ, ნორჩების ფეხბურთის გარეშე არ არსებობს ოსტატობა, ვერ გამოზრდილი ოსტატთა გუნდების მაღალი კლასის რეზერვს, ამაზე კი დამოკიდებულია საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ფეხბურთელების გამოსვლების შედეგები.

საიდუმლო როდია; რომ 1970 წელი სერიოზული მარცხის წელი იყო ჩვენი ფეხბურთისათვის. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები სუსტად გამოვიდა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე, ჭაბუკთა ნაკრები ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის ფინალურ ტურნირშიც კი ვერ გავიდა, „სპარტაკისა“ (მოსკოვი) და „კარპატის“ (ლვოვი) გუნდები პირველ ეტაპზევე დამარცხდნენ ევროპის ჩემპიონთა თაფისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

თავის დროზე სწორი კურსი არ იყო აღებული და მკვეთრად გადიდდა „ა“ და „ბ“ კლასების ფეხბურთის გუნდების რაოდენობა.

მაგალითად, 1960 წლიდან 1968 წლამდე სსრ კავშირის პირველობაზე დაშვებული გუნდების რიცხვი 33-დან 267-მდე გაიზარდა, ესი იგი 8-ჯერ და უფრო მეტად! ეს რიცხვი აშკარად არ შეესაბამებოდა ჩვენი ფეხბურთის საერთო დონეს, ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად კვალიფიციური ფეხბურთელებისა და მწვრთნელების რიცხვს. ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოსაკლინებლად, შესარჩევად და აღსაზრდელად ყოველდღიური მუშაობის ნაცვლად, ზოგიერთი კლუბი მოთამაშეთა გადაბირების გზას დაადგა. გუნდიდან გუნდში სპორტმენების უმიზეზო გადასვლამ, ბუნებრივია, დასცა კოლექტივების თამაშის კლასი, დიდი ვნება მიაყენა აღმზრდელობითს მუშობას. უარყოფით გავლენას ახდენს მუშაობის ხარისხზე აგრეთვე მწვრთნელების ხშირი ცვლა, ის, რომ კლუბებს არა აქვთ რიგიანად აღჭურვილი სასწავლო-საწვრთნელი ბაზები.

პლენუმმა გამოთქვა რწმენა, რომ ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციები სპორტული საზოგადოებების, უწყებებისა და ფიზკულტურის კოლექტივების ფეხბურთის სექციები, მთელი აქტივი დიდ შემოქმედებით ორგანიზაციულ მუშაობას გააჩაღებენ ქვეყანაში მასობრივი ფეხბურთის განვითარებისა და საბჭოთა ფეხბურთელების სპორტული ოსტატობის ამაღლების შესახებ საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის 1970 წლის 31 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად და წარმატებებს მოიპოვებენ.

ბოლოს მუშაობა გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პ. პავლოვი.

პლენუმმა გამოიტანა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის ანგარიში შემადგენლობა, რომელშიც 19 კაცი შევიდა. ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ა. გრანატკინი. (საკადესი).

დღეს ფინიშია

გორი. 26 იანვარი. (ტელეფონით სპეც. კორ.).. დღეს აქ გაიმართა ვ. ქარხელაძის ხსოვნის საჭადრაკო ტურნირის გადადებული პარტიების დამთავრება.

ორი დამარცხება განიცადა ალექსანდრიამ. მან წააგო შეხვედრები მიქაძესთან და უბილავასთან. ფურმანმა მოუგო გაგუას, შტეინმა — მიქაძეს, უბილავა და ბოკუჩავა ბრძოლის განუახლებლად უაიმზე შეთანხმდნენ.

დღეს გათამაშდა აგრეთვე პლატონოვისა და შტეინის გამოტოვებული პარტია. წარმატება პლატონოვს ხვდა.

უკანასკნელი ტურის წინ ლიდერობას ინარჩუნებს გუფელდი, რომელსაც 9,5 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება პლატონოვი. პოდგაიეცს 8,5 ქულა აქვს (მან დაამთავრა ტურნირი).

დიდი სტარტი ბაკურიანში

საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის სპარტაკიადა

ბაკურიანი. 26 იანვარი. (ტელეფონით სპეც. კორ.). გუშინ აქ საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის მესამე სპარტაკიადა. სპორტსმენებს მიესალმა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ო. ქანავა.

სტარტზე გამოვიდნენ „ბურევესტნიკის“, „კოლმეურნის“, „განთიადისა“ და „სპარტაკის“ სპორტსმენები. ასპარეზობა მიმდინარეობს როგორც მოზრდილთა, ისე იუნიორთა და ქალიშვილთა შორის.

ქალთა სათხილამურო რბოლაში 5 კილომეტრზე უძლიერესი იყო „ბურევესტნიკის“ წარმომადგენელი ნ. ბალაშვილი. მან აჩვენა დრო 25 წუთი და 20 წამი. ამავე დისტანციაზე ქალიშვილთა შორის ყველას აჯობა ლ. მაკიევამ — „კოლმეურნე“, 27.37,0.

ვაჟთათვის სათხილამურო რბოლის ტრასა წარმოადგენდა 15 კილომეტრს. ამ ასპარეზობაში კონკურსგარეშე გამოდიოდნენ ყაზახეთის წარმომადგენლები, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მონაწილეობისათვის. სწორედ სტუმართა წარმომადგენელმა გ. გუსევმა აჩვენა უკეთესი დრო — 55.05,0. საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადის ჩემპიონი კი გახდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი ი. ნასყიდაშვილი — 56.45,0. იუნიორთა შორის წარმატება ხვდა „სპარტაკის“ წარმომადგენელს ბ. ბაკაევს — 1 საათი, 9 წუთი და 7 წამი.

ამავე დღეს ქოხტაგორის ფერდობებზე გაიმართა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. დისტანცია 1.500 მეტრს წარმოადგენდა. ქალთა შორის პირველი იყო სპორტის ოსტატი ნ. ფალიანი („ბურევესტნიკი“) — 1.52,2. ქალიშვილთა შორის ყველას აჯობა ზ. რატიანმა („კოლმეურნე“) — 2.17,5 ვაჟთათვის გიგანტურ სლალომში გაიმარჯვა „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა დ. თვაურმა —1.37,3 იუნიორთა შორის — ა. ნავერიანმა („კოლმეურნე“) —1.44,4.

90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში წარმატება ხვდა ა. გავას („ბურევესტნიკი“).

გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა „კოლმეურნის“ მოთხილამურეთა კოლექტივი.

ამუერადაც გამარჯვება

ნიუ-იორკი, 26 იანვარი. (საკადესი). საბჭოთა მოკრივეებმა დენვერში დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები ანგარიშით 4:1 (შეთანხმების შესაბამისად ხუთი წყვილი გამოდიოდა).

ტურნირები ჰოლანდიაში

ჰოლანდიაში გრძელდება საერთაშორისო ტურნირები ქადრაკში ვაჟთა და ქალთათვის.

ქალაქ ბეევერვიკის ვაჟთა ტურნირზე ლიდერობას კვლავ ახალგაზრდა შეედი მოუპოდრაკე ანდერსონი განაგრძობს. მართალია, მან მეთერთმეტე ტურის პარტია ოლაფსონთან გადადო, მაგრამ აქტივში უკვე 7 ქულა აქვს. ამდენივე ქულა შეაგროვეს გლეგორიჩმა და ივკოვმა. მეთერთმეტე ტურში გლეგორიჩმა მოუგო ჰორტს, ხოლო ივკოვმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან პეტროსიანთან. კორჩნოისა და ოლაფსონს ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. საბჭოთა გროსმაისტერს პარტია დასამთავრებელი აქვს რეესთან. პეტროსიანსა და ჰორტს ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულა აქვთ, ჰიუბნერს — 6 ქულა, მეკინგს — 5,5 ქულა, დონერს — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ლენდიელს — 5 ქულა, ლანგე